გოდერძის უღელტეხილის ბუნებრივი გარემო და კონსერვაციის პერსპექტივები

ქართლოს მანველიძე

ელ-ფოსტა: kartlos.manvelidze148@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

ნაშრომში განხილულია გოდერძის უღელტეხილისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების გეოგრაფიული მდებარეობა, რელიეფი, ჰიდროლოგიური ქსელი, კლიმატი, ნიადაგები და ლანდშაფტური მრავალფეროვნება. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია უნიკალურ ეკოსისტემებსა და მესამეული პერიოდის რელიქტური და ენდემური სახეობებით მდიდარ ტყეებზე, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკოსისტემური სერვისების უზრუნველყოფასა და ბიომრავალფეროვნების დაცვაში.

თემა აქტუალურია კლიმატის ცვლილების პირობებში, რაც ზრდის ეკოსისტემების დეგრადაციისა და ბიომრავალფეროვნების შემცირების რისკებს. ნაშრომში განხილულია მავნებელ-დაავადებათა გავრცელების, ნიადაგის ეროზიისა და წყლის რესურსების ცვლილების საფრთხეები და ხაზგასმულია ზურმუხტის ქსელის, გოდერძის ალპური ბაღისა და ნამარხი ტყის როლი კონსერვაციის პროცესში.